

გეოგრაფიის საუნივერსიტეტო განათლების და მეცნიერების თავისებურებანი და ტენდენციები

ნოდარ ელიზბარაშვილი

ელ.ფოსტა: nodar.elizbarashvili@tsu.ge;

*გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი*

მოხსენებაში განხილულია მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების: აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი და ბელგია, გეოგრაფიის საუნივერსიტეტო განათლების თავისებურებანი და ტენდენციები ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტურანტურის დონეზე. აქვე წარმოდგენილია აღნიშნულ ქვეყნებში გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების ისტორია მე-20 საუკუნის მანძილზე, ძირითადი სასწავლო დისციპლინების სტრუქტურა და ინტერესები. სწავლების ყოველი საფეხური შეჯამებული და შეფასებულია როგორც არსებული ვითარების, ისე განვითარების ტენდენციების მიხედვით. ამთავითვე აღსანიშნავია, რომ გეოგრაფიული ფაკულტეტების ძირითადი სტრუქტურა წარმოდგენილია კათედრის, მასთან დაკავშირებული ლაბორატორიის და სამუშაო ჯგუფების სახით. სწავლების ფორმები და შინაარსი დაკავშირებულია და გაწერილია ბაკალავრიატს, მაგისტრატურასა და დოქტურანტურას შორის.

აღნიშნული ქვეყნების უნივერსიტეტებში გეოგრაფიის საუნივერსიტეტო განათლება და მეცნიერება თითქმის მთლიანადაა ორიენტირებული ბაზრის მოთხოვნებზე, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა დასაქმებას. ყოველ ფაკულტეტს გააჩნია თანამშრომლობის ხელშეკრულება რამდენიმე ათეულ სამეცნიერო, სამერნეო, ადმინისტრაციულ თუ კომერციულ ორგანიზაციასთან, სადაც სტუდენტები გადიან პრაქტიკას თუ სტაჟირებას. ყველა უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტების გამოკითხვა და ხორციელდება სასწავლო პროცესის სისტემატური შეფასება. სტუდენტის და პედაგოგის ტანდემი დგება სწავლების პირველსავე წელს, განისაზღვრება სტუდენტის საკვალიფიკაციო ნაშრომის თემატიკა, დგება შესაბამისი გეგმა და პროგრამა. ყველა უნივერსიტეტში სისტემატურად ანუ ყოველწლიურად ტარდება როგორც საველე პრაქტიკა, ისე ხანმოკლე ექსკურსია, ხოლო დამატებულ კურსზე - შორეული პრაქტიკა. ნებისმიერი სტუდენტი ყოველწლიურად ამზადებს საკვალიფიკაციო ნაშრომს (ესე ან რეფერატი), რაც სასწავლო პროგრამის დასრულებისთვის წარმოჩინდება საბაკალავრო ნაშრომის (ე.წ. დისერტაციის) სახით. აქტუალურ თემატიკას განსაზღვრავს პროფესორი და მასთან დაკავშირებული აკადემიური პერსონალი. ნებისმიერი უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში მკაფიოდაა დაცული ბალანსი საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ გეოგრაფიულ დარგებს შორის, რაც გამოხატავს მაღალ ინტერესს და მნიშვნელობას გეოგრაფიის ინტეგრირებული სწავლებისადმი. განხილული თავისებურებების და ტენდენციების ანალიზი კარგი მაგალითია საქართველოში გეოგრაფიის საუნივერსიტეტო განათლების და მეცნიერების შემდგომი განვითარებისთვის.